



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგებობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 2986
15/07/2016

2986-09-2-201607151610



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გეგზავნებთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. გთხოვთ განიხილოთ.

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 892
15/07/2016

892-09-3-201607151136



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულისას
საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი.

ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის დამატებითი წერილით დაზუსტებული იქნა პროექტები და გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებზე განისაზღვრა 307209 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 542791 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N1340 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 68988 ლარი ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ.

განხილული იქნა ა(ა)იპ უფასო სასადილოს წერილი და მიზანშეწონილად ჩაითვალა რომ, სუბსიდიის მუხლი შემცირდეს 200 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 200 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდა სხვა ხარჯების მუხლიდან 3200 ლარი და შესაბამისად გაიზარდოს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 3200 ლარი, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს სუფსიდიის მუხლი 26000 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 26000 ლარით.

გამგეობის შტატით მომუშავეთა ხელფასის ფონდი შემცირდეს 22000 ლარით, გამგეობის შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდი 18000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 28000 ლარით მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურების ფონდი

და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 12000 ლარით.

ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათით გამოიკვეთა, რომ აუცილებლობას წარმოადგენს ცენტრალური საავადმყოფოს ეზოს მიმდებარე გზის მოწესრიგების სამუშაოების დაფინანსება 4000 ლარით, რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

მიზანშეწონილად ჩაითვალა კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსების მიზნით შემცირდეს გამგეობის ტრანსპორტის ტექნიკის და ექსპლუატაციის მოვლა შენახვის ხარჯების მუხლი 4000 ლარით და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის ექსპლუატაციის სამუშაოები 4000 ლარით.

სოციალური სამსახურის მოხსენებითი ბარათის განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის 3000 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის 1000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის 7000 ლარით, სოციალურ- კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის 19000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური პროგრამების მუხლი მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 30000 ლარით.

მიზანშეწონილია წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს ბიუჯეტში.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

სამსახურის უფროსი



საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური